დამტკიცებულია ადმინისტრაციის ხელმძღვანელის
მ/შ 2009 წლის „ “ ივნისის № ბრძანებით

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში
თამბაქოს მოწევის აკრძალვის მარეგულირებელი წესი

წინამდებარე წესი შემუშავებულია „საქართველოში თამბაქოს კონტროლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ლი, მე-2 ნაწილების, ამავე მუხლის მე-7 ნაწილის „ა” და „ბ” პუნქტების, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2009 წლის პირველი მაისის №49/01-01 ბრძანების საფუძველზე.

მუხლი 1. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში თსუ) შენობა-ნაგებობებში აკრძალულია თამბაქოს მოწევა.

მუხლი 2. თსუ-ში დასაქმებული პერსონალი და სტუდენტები ვალდებულნი არიან დაემორჩილონ თსუ-ში თამბაქოს მოწევის აკრძალვასთან დაკავშირებით დადგენილ წესს.

მუხლი 3. თსუ-ს პერსონალის მიერ წინამდებარე წესის დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობის შემდეგ სახეებს:

ა) გაფრთხილება;
ბ) ხელფასის დაქვითვა 15 ლარის ოდენობით (გაფრთხილებიდან 6 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში);
გ) ხელფასის დაქვითვა 35 ლარის ოდენობით (ხელფასის 15 ლარის ოდენობით დაქვითვიდან 6 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში);
დ) ხელფასის დაქვითვა 75 ლარის ოდენობით (ხელფასის 35 ლარის ოდენობით დაქვითვიდან 6 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში;
ე) შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა (ხელფასის 75 ლარის ოდენობით დაქვითვიდან 6 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში);

მუხლი 4. თსუ-ს სტუდენტების მიერ წინამდებარე წესის დარღვევა გამოიწვევს პასუხისმგებლობის შემდეგ სახეებს:

ა) გაფრთხილება;
ბ) ჯარიმა 5 ლარის ოდენობით (გაფრთხილებიდან 6 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში);
გ) ჯარიმა 10 ლარის ოდენობით (5 ლარის ოდენობით ჯარიმის დაკისრებიდან 6 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში);
დ) ჯარიმა 50 ლარის ოდენობით (10 ლარის ოდენობით ჯარიმის დაკისრებიდან 6 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში);

ე) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა (50 ლარის ოდენობით სასტიკი საყვედურიდან 6 თვის ვადაში განმეორებით ჩადენის შემთხვევაში);

თანხის ამოღება განხორციელდება სტუდენტის სწავლის საფასურიდან დაქვითვის გზით. დავალიანების მქონე სტუდენტი არ დაიშვება კოლოქვიუმებზე, შუალედურ და დასკვნით გამოცდებზე, რაზეც კონტროლის განხორციელება ეკისრება ფაკულტეტებს.

მუხლი 5. დამრღვევის მიერ აღნიშნული წესის დარღვევის გამო შესაბამისი ორგანოს მხრიდან უნივერსიტეტის მიმართ საჯარიმო სანქციის გამოყენების შემთხვევაში, დამრღვევს დაეკისრება ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, რაც დაიქვითება მისი შრომის ანაზღაურებიდან ან სწავლის საფასურიდან ან სხვა ქონებიდან საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 6. წინამდებარე წესის შესრულების უზრუნველყოფაზე კონტროლს ახორციელებს თსუ-ს მონიტორინგის დეპარტამენტი და დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური, რომლებიც, თავის მხრივ, დარღვევის შემთხვევის გამოვლენისას, მოხსენებით ბარათს წარუდგენენ ადმინისტრაციის ხელმძღვანელს შემდგომი რეაგირებისათვის.